№ 7 1883—1897 15 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპარქია

ოფიციალური განყოფილება.

ანგარიში

იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის შესავალ-გასავლისა 1896 წლისა.

შემოვიდა:

	მან.	კაპ.
დაშთენილი ნაღდი ფული იყო 20 დეკემბერს 1895 წლიდან . . .	76	50
სახელმწიფო კასის წიგნით იყო . .	144	29
გასესხებული ფული იყო . . .	1629	71
გასყიდული სანთლის ფული შემოვიდა .	21944	12
გასყიდული საკმევლისაგან . . .	11	12
სარგებელი ფულის თანხისაგან . .	4	97
კათედრის ტაძრისაგან ნისიად წაღებული სანთლის ფასი	39	—
დაბრუნებული ვაჭრის ხადჟიოღლისაგან დაწუნებული სანთლის ფასი .	32	65
სულ . . .	23945	36

დაიხარჯა:

	მან.	კაპ.
სასყიდლად: ცვილისა	10765	63
ნამწვი სანთლისა	321	48
სანთლის გულისათვის, პატრუქისათვის .	422	37
სანთლის სახვევი თოკისათვის . .	15	28
სახვევი ქაღალდისა	73	90
სესხათ გაიცა	300	—
ქარხნის შეკეთებისა და შენახვისათვის .	206	56
მოსამსახურეთა ჯამაგირისათვის . .	702	62
სანთლის საწყობის ქირად . . .	80	6
ცეცხლისაგან უზრუნველყოფისათვის .	36	30
ოსტატს სანთლის გასაკეთებლად . .	1684	—
ვალის გასასტუმრებლად . . .	5947	—
წვრილმანი და მოულოდნელი ხარჯი .	191	—
დაშთენილი ყოველ ხარჯს გარდა .	3198	—
სულ . . .	23945	21

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიში

იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის შესავალ-გასავალის, დაშთენილი და დამზადებული სანთლისა და მასალისა 1896 წლისა.

ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ:

	ფუთ.	გირ.
დაშთენილი 1895 წლიდან ცვილი . .	57	8
„ „ „ ნამწვი . .	3	33
დამზადებული სანთელი თეთრი ⁄ ყვითელი	156	18
პატრუქი	3	29
1896 წელში ნაყიდი ცვილი. . .	437	39
„ „ „ ნამწვი . . .	32	6
პატრუქი	22	22
სახვევი ქაღალდი	16	20

და სრულიად ცვილი 495 ფ. 7 გირ. ნამწვი 35 ფ. 35 გირ. დამზადებული სანთელი 596 ფუთი 28 გირ. პატრუქი 26 ფ. 11 გ., სახვევი ქაღალდი 16 ფ. 20 გირ. და თოკი . . 1 ფ. 24 გ.

ᲒᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ.

დახარჯულ არს სანთლის გასაკეთებლად:

	ფუთ.	გირ.
ცვილი	401	18
ნამწვი	25	39
პატრუქი	20	15
სახვევი ქაღალდი	9	36
თოკი	1	16
გასყიდულ არს სანთელი . . .	593	33
დარჩა პირველი იანვრის 1897 წლისათვის ცვილი სანთელი . . .	94	19
დამზადებული სანთელი . . .	56	35
პატრუქი	5	36
სახვევი ქაღალდი	6	9
და თოკი		8

ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲔᲑᲐ:

სანთლის ქარხნის ძველი გამგეობისაგან დარჩა, როგორც ჩანს ამ ანგარიშიდან, 57 ფუთი 8 გ. ცვილი, 1368 მ. საღირალი; 3 ფუთი 33 გ. პატრუქი, 46 მანეთის საღირალი; ნამწვი 3 ფუთი 29 გ. 40 მანეთის საღირალი და 156 ფუთი 18 გ. ჩამოსხმული სანთელი, რომლის გაყიდვისაგან უნდა შემოსულიყო 6258 მ. და სულ შემადგენელი 7712 მანეთისა. მაგრამ სანთლის ქარხნის ძველმა გამგეობამ დაუტოვა ქარხნის ახალ გამგეობას შემდეგი ვალი:

იმერეთის ეპარქიის საეკლესიო ხაზინაში შესატანი . . .	2500	მან.
იმერეთის ეპ. გაბრიელის სასწ. შესატანი	1000	„
სანთლის ფასი მისაცემი ხადჟი იბრაიმ ოღლიზე	820	„
ოსტატის და კ. იოსელიანის მისაცემი და სხვა წვრილმანი ხარჯი .	800	„
და სრულიად . . .	5120	მან.

მაშასადამე ფულად დარჩებოდა გამგეობას დანატოვარი ნივთებიდან . . . 2592 „

სანთლის ქარხნის ძველს გამგეობას ყველა ხარჯს გარდა პირველ იანვრისათვის 1895 წლისა ჰქონდა დატოვებული თითქმის ამ ფულებზე მეტი.

იმერეთის ეპარქიის მთავრობის განკარგულება.

შემჩნეულია, რომ მრავალნი სამღვდელო და საეკკლესიო პირნი და აგრეთვე სამრევლო შკოლის მასწავლებლები განწესებისა, ანუ ერთი ადგილიდგან მეორე ადგილზე გადაყვანის და მრავალ სხვა გვართა თხოვნათა გამო, ჩამოდიან ქუთაისში, ხშირად თბილისშიდაც მიდიან და ამაზედ არა აქვსთ არავითარი ნებართვა ეპარქიის მთავრობისაგან, არცა ბილეთი ბლაგოჩინისაგან და არც დაბარებული არიან ადგილობრივი სასულიერო მთავრობისაგან; აცდენენ და თავს აბეზრებენ სასულიერო უწყების კანცელარიებში მოსამსახურე პირებს თავიანთ საქმეებზე სხვა და სხვა ცნობების თხოვნითა და აგრეთვე უაღგილო და, სრულიად უმიზნო ვედრებით, რათა იგინი შეეწიონ მათდა სასარგებლოდ საქმეების გადაწყვეტაში და ამით ეჭვში შეჰყავთ საზოგადოება ამ მოსამსახურეთა შესახებ. ცხადია ისიც, რომ სხვა და სხვა უკანონო მოქმედებათა ზედა გამოძიებული საქმეები ითხოვენ არა მარტო მათი შინაარსის უბრალო გაცნობას, არამედ შესწავლას, კანონების ჩხრეკას და საქმის ყოველი მხრით ახსნას და გამორკვევას; აგრეთვე რომელიმე ადგილზედ განწესებისათვის, ანუ გადაყვანისათვის, საჭიროა ცნობები: თვით ამა ადგილზედ, მთხოვნელთა წოდებაზედ, წლოვანეობაზედ, განათლებაზედ და ყოფაქცევაზედ; გარდა ამისა ხშირათ კაი ხანს ლოდინიც საუკეთესო კანდიდატებისა, ამისათვის ამ გვარ საქმეთა და ბოლოებითი გადაწყვეტა მოკლე დროში არ ხერხდება; მიუხედავათ ამისა აღნიშნული პირნი რჩებიან ეპარქიალურ ქალაქში და ხშირად რამოდენიმე დღე უცდიან თავიანთის საქმეების დაბოლოებას; მიტოვება კი მრევლისა კრებულის რომელიმე წევრისაგან, ან საეკკლესიო-სამრევლო შკოლის მასწავლებლისაგან, უმეტესათ დიდი ხნობით, გარდა იმისა, რომ ძრავს კრებულის წევრთა, მასწავლებლებთა და მრევლთა შორის დარტვინვას და საჩივრებსა, დიდ ვნებას აძლევს ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა და სახალხო განათლების საქმესაც. ასეც რომ არ იყოს მოხსენებულ პირთ დიდი უბრალო და სამძიმო ხარჯი მოსდისთ საეპარქიო ქალაქებში ჩამოსვლით, როდესაც ეს სრულებით არ არის საჭირო, რადგან ყოველივე თხოვნა უფრო ადვილათ შეიძლება მიერთვას სასულიერო მთავრობას ფოსტით; ამ შემთხვევაში არც ხარჯია საჭირო და არც თავის სამსახურს აკლდება კაცი; იმვე ფოსტის საშვალებით პასუხიც ადვილათ გაეგზავნება მთხოვნელებს რიგრიგობით, შეძლებისა და გვარად, არა უგვიანეს ორი კვირისა საქმის დაბოლოებითი გადაწყვეტის დღიდგან. რაიცა შეეხება მათ, ვისთვისაც საჭირო შეიქმნება მთავრობის პირადი შთაგონება და მღვდელ-მთავრული დარიგება, ანუ გამოცდა საეკკლესიო საგნებში, იგინი დაბარებულ იქმნებიან მთავრობის განკარგულებით. აღნიშნული ქცევა სასულიერო წოდების პირთა გარდა ხარჯისა და სამსახურის ზიანისა, ეწინააღმდეგება: 1) მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეპარხოსის 1887 წლის ცირკულიარდას საქართველო იმერეთის სინოდალნი კანტორის უქაზსა 1891 წლის 10 აპრილიდგან №N 3085, 2) ბლაგოჩინთა ინსტრუქციის § 31, და 3) ბაშფორტთა კანონების 52, 53, 54, 55 და 59 მუხლთა, რომელთა ძალით, არც მღვდლებს, არც მედავითნეებს და არც არავის სასულიერო სამსახურში მყოფთ პირთა ერთი დღის ვადითაც არა აქვსთ უფლება მოშორდენ თავიანთ სამსახურს ადგილს, უშორეს 15 ვერსისა მთავრობის ნება დაურთველად. უკლა ამ ზემორე მოყვანილ გარემოებათა გამო ქურნალის „მწყემსი“-ს საშვალებით მიუწერ რწმუნებულ ჩემდამო იმერეთის ეპარქიის ბლაგოჩინებს: 1) წაუკითხონ და აუხსნან ესე მიწერილობა, აგრეთვე ხელწერილი ჩამოართვან სამღვდელო-საეკკლესიო მოსამსახურეთა და საეკკლესიო სამრევლო და წერაკითხვის შკოლების მასწავლებლებთა, რომ არ წავიდენ არსად უბილეთოო და ნება დაურთველად თავის ბლაგოჩინისაგან და ამ უკანასკნელთა არამც და არამც არ მისცენ ბილეთი წასასვლელათ ქალაქ ქუთაისში, ანუ თბილისში საკუთრივ იმ საქმეებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, რომლებიც სწარმოებენ აქაურ სასულიერო კანცელარიებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იმათ ოფიციალურად იბარებენ აღნიშნულ დაწესებულებაებში, სხვა მიუცილებელ საჭიროების დროს, ბლაღოჩინმა მისცეს ბილეთი სულ მოკლე დროთი 15 კაპ. ფერბის მარკით, აღნიშვნითა ბილეთი: სად მიდის, რამდენი ხნით, რა საქმისა გამო და ვის სახელდობ ენდობა დათხოვნილის თანამდებობის აღსრულება, ხოლო სხვა ეპარქიაში წასვლა არც ბლაღოჩინმა და არც სხვა სასულიერო სამსახურში მყოფთა არ გაბედონ ეპარქიალური მთავრობის ნება დაურთველად და უბაშფორტოთ. ვინც ამ მოწერილობას დაარღვევს, იგი პირველ შემთხვევაში დაისჯება ჯარიმით და შემდეგ კი მიეცემა უფრო მეტს სასჯელს. ხოლო იმერეთის საეპარქიო კანცელარიას ვალად დავუდგენ, რათა ყოველი სასულიერო უწყებაში მოსამსახურე, გარდა ბლაღოჩინებთა, რომელსაც არ აღმოუჩნდება ოფიციალური ნებართვა, ყოველთვის მოახსენებდეს ადგილობითი ეპარქიალურ მთავრობას; ამასთანავე წაეკითხოს ზემორე აღნიშნულ პირთა წინეთ დაბეჭდილი განცხადება - საეპარქიო კანცელარიაში მთხოვნელთა მიღებაზე და მათ ქცევაზედ. ბლაღოჩინებმაც ფიცხელი ყურადღება იქონიონ და ვინც თავიანთ თანამდებობას გულგრილად მოეკიდება ან დააკლდება, მასზედ მოახსენონ ხოლმე მთავრობას. მოწერილობა ესე შევა ძალაში 15 მომავალი მაისიდგან. 1 აპრილი 1897 წ. ქ. ქუთაისი. № 824.

უმაღლესი ჯილდოები.

ხელმწიფე იმპერატორმა, ბ. სინოდალურის ობერ-პროკურორის ყოვლად-უქვეშევრდომილესს მოხსენებისამებრ, თანახმად უწმიდესის სინოდის განჩინებისა, ყოვლად უმოწყალესად ინება, 28 წარსულს თებერვლისას, ორმოც-დაათის წლოვანის სამსახურისთვის წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენის მიცემა მღვდლებისათვის: მელაანის წმ. სამების ეკლესიის (ქართლ-კახეთის ეპარქიისა) გიორგი ნათიძისა და გურიასამეგრელოის ეპარქიის ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის—მათე ჯგუშიასთვის.

ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოის მიერ.

ქართლ-კახეთის საეპარქიო სასასწავლებლო საბჭო, თანახმად თვისის ჟურნალურის განჩინებისა, წარსულის მარტის 11 რიცხვიდამ, რაიც დამტკიცებულ იქმნა მისის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობის მიერ, ამით უცხადებს მამათა ბლაღოჩინებს და გამგეებს საეკლესიო-სამრევლო შკოლებისას ქართლ-კახეთის ეპარქიებში, რომ ორი მესამედი ამ შკოლების სასარგებლოდ დაწესებულ შეწირულებათა, როგორც ულაბით მოგროვილი აგრეთვე ადებული მათდამი რწმუნებული საბლაღოჩინოების ეკლესიების და კრებულთაგან, უნდა წარდგენილ იქმნეს საეპარქიო სასასწავლებლო საბჭოის ადგილობითს განყოფილებაში (სამწერლო და სხვა საჭირო გასავალთა თვის მოსახმარებლად) და ერთი მესამედი კი—პირდაპირ წარდგენილ იქმნეს ქართლ-კახეთის საეპარქიოს სასასწავლებლო საბჭოში.

მწყემსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—1.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 7. **1883—1897** **15 აპრილი**

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თვით	3 მან.	12 თვით	5 მან.
6 —	2 —	6 —	3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.*

ყველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავათ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ქრისტე აღსდგა!

სიტყვებში—ქრისტე აღსდგა! მოთავსებულია მთელი სიმტკიცე ჩვენი წმიდა სარწმუნოებისა, მთელი საფუძველი ჩვენი სასოებისა და მთელი დაუსრულებელი წყარო საუკუნო სიხარულისა და ნეტარებისა.

ქრისტე აღსდგა! ესრეთ მსხვერპლი, შეწირული ჩვენთვის ღვთის ძისა მიერ ჯვარზე, მიღებულ არს ზეციერ მამისაგან საყნოსელად სუნად სურნე-

ლებისა; წინააღმდეგ როგორ აღსდგებოდა იგი დიდებით საფლავიდგან?

ქრისტე აღსდგა! და ესრეთ საწრეტელი სიკვდილისა ძლეულ არს, საშიშარი მპყრობელობა მისი დამხობილ არს.

ქრისტე აღსდგა! და ესრეთ სამეფო ეშმაკისა დაქცეულ არს და მეუფება მისი დამხობილ. „აწ მთავარი ამა სოფლისა გაგდებულ არს გარე“. (იოან. 12, 31).

ქრისტე აღსდგა! და ესრეთ ბჭენი სასუფევლისა ღვთისანი გაღებულ არიან ყოველთათვის. არც ერთ ქერაბინს არ შეუძლია წინ დადგომა გზაზე ცხოვრების ხემდის, როდესაც ჩვენ წინა გვიძღვის მთავარი ჩვენი ცხოვნებისა. „და ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენი; გრწმენინ ღმრთისა და გრწმენინ ჩემდა მომართ.

ქრისტე აღსდგა! და ესრეთ გზა ჯვარისა, რომელიც ამცნო უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მორწმუნეთა თვისთა, არის ჭეშმარიტი და ერთად ერთი გზა საუკუნო დიდებისა და ნეტარებისადმი. ყოველივე დროებითი—დროებითვე წარვალს; ყოველივე საუკუნო-საუკუნოა და არასოდეს არ წარვალს. ყოველივე ქვეყნიური გრძელდება საფლავამდის, კუბოში შთასვენებამდის. ყოველივე სულიერი და უხილავი მიგვყვება სიკვდილის შემდეგ და ჩვენთანა იქნება საუკუნოდ.

«აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ დღესასწაულსა ამას, და ურთიერთარს შევიტკბოთ და ვსთქვათ ძმათა ჩვენთა, მოძულეთაცა ჩვენთა შეუნდოთ ყოველი აღდგომასა და ესრეთ ბრწყინვალედ ღაღად-ვყოთ: ქრისტე აღსდგა მკვდრეთით და სიკვდილითა სიკვდილი დაჰსთრგუნა და მყოფთა საფლავისათა ცხოვრება მიჰმადლა».

დეკ. დ. ღამბაშიძე

ღია წერილი

კოვიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სიამოვნებით და სიხარულით წავიკითხავთ ხოლმე ქართულ გაზეთებში: „გამოვიდა“, ანუ „გამოვა ქართულ ენაზე ესა და ეს სამეცნიერო წიგნი“. დიდი სიამოვნებით ვეგებებით ამ ამბავს, რადგან ვხედავთ, რომ არც ჩვენი პატარა ქვეყანა ჩამორჩენია უკან დიდს, განათლებულს ქვეყნებს და, შეძლებისა დაგვარათ, შეაქვს თავისი წვლილი მეცნიერების სალაროში.

მაგრამ მაშინ, როცა ჩვენი საერო ლიტერატურა, ცოტათ თუ ბევრათ, წინ მიდის, წინ იწევს, ჩვენი «სასულიერო ლიტერატურა ერთს წერტილზე გაყინულა და აღარ იძვრის. ეს, რასაკვირველია, ჩვენი უმაღლესი სასულიერო განათლების მიმღებ პირთა დაუდევრობით აიხსნება. აგერ მეცხრამეტე საუკუნე თავდება და ქართულს ენაზე არც ერთი მეცნიერული ორიგინალური გამოკვლევა ქართულ საეკლესიო ლიტერატურიდგან არ დაწერილა. ეხლა საქართველოში ბევრნი არიან უმაღლესი ღვთის მეტყველური განათლებით აღჭურვილნი პირნი და ჩვენთვის სასირცხვილო იქნება ვთქვათ, რომ მათ არ შეეძლოთ ქართულ ენაზე რომელიმე კითხვის გამოკვლევა ქართული საეკლესიო ლიტერატურიდგან; გამოსაკვლევი კითხვები ძალიან ბევრია საქართველოს საეკლესიო ლიტერატურაში. მეცნიერული რამე თუ იწერება საქართველოს საეკლესიო ლიტერატურიდგან-მხოლოდ სასულიერო აკადემიებში ქართველი სტუდენტების მიერ ღვთის მეტყველების კანდიდატის ხარისხის მისაღებათ. რა ან როგორ არიან დაწერილნი ეს თხზულებანი, ეს უწყიან მხოლოთ სტუდენტებმა, რომლებიც სწერენ და პროფესორებმა, რომლებიც კითხულობენ ამ თხზულებათა; ქართველმა საზოგადოებამ კი ამაზედ არაფერი იცის, რადგან ეს თხზულებანი არ იბეჭდებიან. ქართველები, რომელნიც უმაღლესი ღვთის მეტყველური სწავლით არიან აღჭურვილნი, მოვალენი არიან იკვლიონ მეცნიერულათ კითხვები საქართველოს საეკლესიო ლიტერატურიდგან, აღადგინონ საღვთისმეტყველო მეცნიერება საქართველოში, დაანახონ ქვეყანას, რომ არც ჩვენი წინაპარნი ჩამორჩენიან ჩვენსავით უკან ქვეყნიერობის წინ მსვლელობას, ყოფილან ქართველობის და ქრისტიანობის წინამბრძოლნი.

მ. ო.

ღია წერილი

პატივცემულო მამაო რედაქტორო!

თქვენმა მშვენიერმა და მნიშვნელოვანმა, სხვა მრავალთა შორის, დარიგება-რჩევამ სამღვდელოებისადმი შესახებ ფუტკრის მოშენებისა, ჩემზედ ღრმა შთაბეჭდილება იქონია. მე მსურს შეუდგე ფუტკრის მოვლა-მოშენებასა. ჯერ-ჯეროობით ვიყიდე რამდენიმე სკა. მაგრამ გულ ახდილად უნდა ვაღიარო, რომ ფუტკრის მოვლა-ცოდნაში უვიცი ვარ. უნდა შევისწავლო, რა თქმა უნდა, წიგნების საშუალებით. რადგან აქეთ პრაქტიკულად ფუტკრის მოვლის საქმე ჯერეთ არავის არ აქვს წესიერად დაყენებული, ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულის ჟურნალის საშუალებით შემატყობინოთ, თუ როგორ უნდა მოვიქცე, რომ ფუტკრის მოშენების საქმე ჯეროვან ნიადაგზედ დავაყენო და შევისწავლო. ვისი წიგნები უფრო გამომადგება ამ საქმეში. ყველა წიგნები დაგვისახელეთ ქართულს და რუსულს ენებზედ გამოცემულნი ფუტკრის მოვლის შესახებ, რომ გამოვიწერო.

თქვენი პატივის მცემელი ქიზიყელი მოძღვარი №

აი ჩვენი რჩევა: პირველი დარიგება მეფუტკრეობაზე მოისმინეთ უთუოდ კარგ გამოცდილ მეფუტკრისაგან ფუტკრების დათვალიერებით და დახედვით. ეს ადვილი მოსახერხებელია ეხლანდელ დროში. შემდეგ მოიპოვეთ შემდეგი წიგნები: 1. ფუტკარი და მისი ცხოვრება ბუტლეროვისა, ფასი 60 კ. 2) დადანის სკა და როგორ უნდა მოამზადო თვითონ ეს სკა. გ. კონდრატიევისა, ფასი 25 კ. 3. ფუტკრების მოვლა ბერტრანისა, ფასი 90 კ. ამასთან გიგზავნით წიგნს ო. ი. შუსინ პუშკინის ქალისას, რომლიდანაც ყველა საჭირო ცნობებს შეიტყობთ. ბევრ ნაირი დარიგება არის ფუტკრების მოვლა-მოშენებისა და გირჩევთ, რომ უპირატესობა მისცეთ დადანის სკას და ამ სკებით ფუტკრების მოვლას. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ დავიწყებთ საჭირო დარიგების ბეჭდვას ფუტკრების მოვლისა და მოშენების შესახებ.

რედაქტორი.

მოგვალეობა თუ სიყვარული?

(მოთხრობა).

(გაგრძელება *.)

თითქოს მ. ანდრიას სიტყვებმა იმოქმედეს ქალზე, ის დადუმებული და მოქუშული ამზადებდა ქმარს სამგზავროდ და ქალს ტანთსაცმელს უძებნიდა.

ამ დროს მ. ანდრია სამზარეულოში გავიდა მეთევზეებთან, რომლებიც მზარეულს ქალს ემუსაიფებოდენ „მათვეევნას“ ავადმყოფობაზე.

გლეხები ისევ წამოდგნენ, მ. ანდრია რომ დაინახეს.

—იცით რა! მე მოვდივარ. შენ სვიმონ, მიუბრუნდა ის მესაჭეს, წამოდი ჩემთან ეკკლესიაში. სანაწილე უნდა წამოვიღოთ.

—გიახლებით, მამაო, მიუგო სვიმონმა და აიბნია სათბურის ღილები.

მ. ანდრია შემობრუნდა სასადილო ოთახში, ჩაიცვა უბრალო, „რუსული“ ჩექმები, რომლებიც ცოლმა გამოუტანა, თბილი ბამბიანი კაბა, აიღო ქუდი და ეკკლესიის გასაღები და გამოვიდა სამზარეულოში.

სვიმონიც მზათ იყო, ხელში ქუდი ეჭირა. გამოვიდენ სამზარეულოდან ორივე.

მ. ანდრიამ აიღო ეკკლესიაში სანაწილე. შეევედრა ღმერთს მხურვალე გრძნობით აღსავლის კარების წინ და გამოვიდნენ ეკკლესიიდან. შინ რომ მიბრუნდნენ, იქაც ყველაფერი მზათ დაუხვდათ. მაგიდაზე იდვა ძველი ტყავის ქუდი, ვინაიდგან ისეთ ძლიერ ქარში სხვა ქუდის დახურვა შეუძლებელი იყო. სამზარეულოში სკამზე მაუდის ანაფორა, ხელთათმანები და თივთიკის ფეხსახვევი საბანი ელაგა. მ. ანდრიამ აქაც დაიწერა რამდენჯერმე ლმობიერებით პირჯვარი ხატების წინ.

—ბავშები დალოცე, მაინც, უთხრა ქალმა,— ვინ იცის, რა შეგემთხვევა, იქნება მეტათ ველარც კი ნახო...

ხმაზე წინანდებურად ტირილი ემჩნეოდა.

მ. ანდრიამ დაჩქარებით დალოცა თითოეული ბავში, რომლებიც მთელი დროის განმავლობაში გა-

---

* იხ. „მწყემსი“ № 6, 1896 წ.

ოცებით უყურებდენ ამბავსა და ვერ მიმხვდარიყვენ, თუ რად ღელავდენ მშობლები.

— მშვიდობით, ჩემო კარგო! მოეხვია კისერში ცოლი. თვალებიდგან ცრემლები გადმოსჩქეფდა, მკერდზე მიეყრდნო და გული წაუვიდა.

—კარგი, გეყოფა! ანუგეშა მ. ანდრიამ, თუმცა თითონაც ხმა უკანკალებდა და ცრემლებს ძლივს ძლიობით იმაგრებდა. სცდილობდა ფხიზლად მოეჩვენებინა თავი და გული არ დაეწყვიტა უკანასკნელად ცოლისთვის.

—ხომ ხედავ, ბავშებიც სტირიან, შენ რომ გიყურებენ! დაიწყო მანვე და ნაზად მოიშორა ქალის ხელები.—მოუარე ბავშებს... ღამით ტირილი ავნებთ.

მ. ანდრია დაჩქარებით გამოვიდა სამზარეულოში, და, ჩაიცვა თუ არა, მაშინვე გასწია კარებისკენ. ყველანი უკან მიჰყვენ, ყველანი რაღაც უსიამოვნებასა გრძნობდენ. გლეხებს არც უნდოდათ სახლის მოშორება და ცივს ქარში გამოსვლა. მ. ანდრიას ჟრუანტელი უვლიდა ძარღვებში მოგზაურობის სიბნელის მოგონებაზე. ცოლიცა და მზარეული ქალიც, რომლებმაც მიაცილეს მგზავრები, ისეთივე უსიამოვნო ფიქრებში იყვენ გართული—საშიშარი მგზავრობის გამო.

IV.

სახლიდან გამოსვლისათანავე უფსკრულმა წყვდიადმა დამალა მ. ანდრია და მისი თანამოგზაურები. ღამის სიბნელე ერთი ორად გააორკეცა სინათლიდან სიბნელეში უეცრივ გადასვლამ. ქარი გახელებული ზუოდა, შავი ღრუბლები დაბლობზე დაჰქროდენ დედამიწას ზევიდან. წვრილი წვიმა ჟინჟლავდა და ქარის ყოველ მოქნევაზე წყლის ნამცეცებით ასხურებდა მგზავრებს.

—მშვიდობით! მოისმა მიმცილებელთა ხმა. ამას ზედ მოჰყვა ჭისკრების მიხურვის ხეთქა და მოქანებული ურდულის წივილი.

—მიბოძეთ, მამაო, ხელი.—უთხრა სვიმონმა,—არ წაიქცეთ, ხომ ხედავთ, როგორი ბნელია. მარცხი ერთ ლაჯზეა. იქნება ფეხი გაგისხლტეთ, ან შეეჩეხოთ რასმეს. გამოართვა ხელი მ. ანდრიასა და დაიმედებული გასწია პირდაპირ მდინარისაკენ.

—ხომ საძნელო იქნება მოგზაურობა, სენია!? კითხა წინამძღოლსა მ. ანდრიამ.

—უჰ, ისე ცუდი იქნება, ისე ცუდი, რომ არ ვიცი... ჩემი დედა რომ არ იყვეს, გარეულაც არ გამოვიდოდი ასეთ ავდარში. მაგრამ რას იზამთ, როცა საჭიროება გადგიათ.

—მართალია, კვერი დაუკრა მ. ანდრიამ.—საჭიროება რომ არ გვთხოვდეს, არც წავიდოდი... ხოლო საჭიროება ისეთია, რომ წაუსვლელობა არ შეიძლება. იქნება უზიარებლად მოკვდეს. დიდი ცოდვა დაგვაწვება კისერზე, ეს რომ ჩვენი მიზეზით მოხდეს..

ამ მუსაიფში მიაღწიეს ნაპირს. ნავი მალე იპოვნეს, გაუჭირველად. სვიმონმა ნავი ნაპირზე მოაყენა, ჩავიდა შიგ და მ. ანდრიაც გადიყვანა. წავიდნენ მენავეებიც. დიდი მზრუნველობით დააჯინეს მ. ანდრია, შეუხვიეს ფეხები წამოღებული საბნით. შემდეგ სვიმონი ისევ ნაპირზე ამოვიდა და მოხსნა თოკი ბოძსა. მაგრამ წყალმა უეცრივ გაიტყორცნა ნავი ღონივრად ნაპირიდან და სვიმონიც კინაღამ შიგ ჩაიყოლა. სვიმონისა და მენავეების შეერთებულმა ძალ-ღონემ ნავი ისევ თავის ადგილს მოაყენეს.

—ღმერთო, გვიშველე! ჩაილაპარაკა სვიმონმა და ჩავიდა ნავში, რომელიც დაინძრა და განშორდა ნაპირს.

მდინარეზე გასვლა მეტის მეტი ძნელი იყო. ძლიერსა და სასტიკ ქარში უშველებელი ზვირთები დგებოდენ და შუილით მიჰგორავდნენ ერთი ერთმანერთის მიყოლებით. იმ ადგილას უფრო საშიშარი და უდიდესი იყვენ ზვირთები, სადაც მდინარე ჩვეულებრივ ღრმად მიმდინარებდა. ნავს აქეთ-იქით აქანებდა ზვირთები. სვიმონი ადგა საჭეზე, გაფაციცებით იცქირებოდა აქეთ-იქით და საჭიროების დროს ნავს ისე დააყენებდა, რომ ზვირთებს ვერ გადაებრუნებია.

მენავეებთა შორის სრული სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. მათი დაღვრემილი პირის სახე აშკარად ამტკიცებდა, რომ ისინი მგზავრობის შიშით იყვენ შეპყრობილი. ყველანი ერთნაირად იზნიქებოდენ წინ და უკან და გაორკეცებული ძალ-ღონით აწვებოდენ ნიჩფებს, რა წამს მესაჭეს ყვირილი მოისმოდა: „უფრთხილდითო?.

მ. ანდრიაც სდუმდა. წამ და უწუმ ელვიძებოდენ ფიქრები გონებაში. საშიშარი მდგომარეობა სულს უხუთავდა. მთელი წარსული ცხოვრება გადაეშალა გონებაში: საყვარელი სახე მეუღლისა, ბავშებისა... საოცარი გარკვევითა და სისწრაფით

გაურბენდენ გონებაში ფაქტები ბავშობიდან. შინაურული ცხოვრებიდან, სწავლის დროებიდან, დაქორწინებიდან, მოძღვრული მოქმედებიდან... ამ ფაქტებთა შორის დაქსაქსულ ძაფსა წამ და უწუმ უწყვეტდა სურათები თვის სახლობის ცხოვრებიდან. „ახლა იქნება წვებიან კიდევაც“, ფიქრობდა ის. თვალ წინ წარმოუდგა საწოლი ოთახი: აგე-, ვითომც ცოლი მზარეული ქალის დახმარებით ბავშებს აწვენს და ამათ კი ძილი არ ეკიდებათ, ხმაურობენ, ჯინზედ არ ახდევინებენ. „წყნარად, წყნ. რად“, არიგებს დედა და ამ ხმაში, რომელიც სიმკაცრით უნდა წარმოსთქვას, მაინც უნებლიეთ იხედება მხურვალე სიყვარული შვილებისადმი..

—ძვირფასო საშ.! ჩაიბუტბუტა მ ანდრიას ტუჩებმა.

—ოჰ, ღმერთო! წამოიძახა ერთმა მენავეთაგანმა უეცრად.

მ. ანდრია შეკრთა და გამოირკვა ფიქრებიდან. თურმე მდინარეს ერთი მენავესათვის ნიჩაფი გამოეგლიჯა ხელიდან.

ჩამოხსნეს დაუყონებლივ სამაგიერო ნიჩაფი, და ნავი ისევ წინანდებური, ნელი და საოცარი ბრძოლით დაიძრა წინ.

მ. ანდრიასაც ისევ წარსული ცხოვრების სურათები გაუახლდენ გონებაში.

გავიდა ნახევარი საათი ამ ვაი ვაგლახში მას აქეთ, რაც ნავში ჩასხდენ. მიმდინარეობის სისწრაფე და საშიშარი სიმკაცრე ქარისა ძალიან აძნელებდენ მოგზაურობას მდინარეზე. მაგრამ მაინცა და მაინც აღარც შორს ყოფილა მეორე ნაპირი, თუმცა ისიც წალეკილი იყო წყლით. იქ უფრო უშიშრად იქნებოდენ მიუხედავად იმისა, რომ იქაც მიჰქროდენ საოცარი სისწრაფით მღვრიე ზვირთები მდინარისა.

მენავეები ილევდენ ძალ-ღონეს, მაგრამ თავ გამოდება არამც თუ არ უსუსტდებოდათ, არამედ გეგონებოდათ კიდევაც, რომ რამდენად სიძნელე იზდება, იმდენად ისიც მატულობსო.

მესაჭე იდგა თავის ადგილას, როგორც მიჯაჭული და ერთნაირად წამოიძახებდა ყოველთვის „ფრთხილადო“, რაკი უშველებელი ზვირთები შთანთქმას დაუპირებდენ ნავსა. მისი თვალები ცეცხლივით ელავდენ. თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა მისთვისო, აშფოთებულ მდინარესთან ბრძოლა თან და თან აგულიანებდა მას.

მაგრამ უეცრივ გაისმა რაღაც ხაჭანი. თურმე საჭეს ბოლო მოასკდა და მდინარეს გაჰყვა.

ყველას ელდა ეცა... უმმართველოდ დარჩომილს ნავს ნაფოტივით ატრიალებდენ ტალღები. მენავეებს უნებლიედ გაუარდათ ხელიდან ნიჩფები.

დადგა საზარელი წუთი...

გამხეცებულ მდინარესთან ბრძოლა უსაჭოდ შეუძლებელი იყო. ყველას შიშის გამომეტყველება შეაცივდა პირის სახეზე.

—ეს რა ღვთის წყრომაა? წაიბუტბუტა მესაჭემ. გაბედულება თან და თან უსუსტდებოდა.

– დავიღუპვით! გულ ჩათხრობით წამოიძახა ერთმა მენავეთაგანმა. ამ სიტყვამ, თითქოს, ყველა გამოაფხიზლა.

ყველას გაეხსნა მადა სიცოცხლისა. აქამომდე მიმქრალი სიმამაცე წარმოუდგენელ ძლიერებად გაუახლდათ. „ყოფნა ან არ ყოფნა“, „სიცოცხლე ან სიკვდილი“ აი ამ საკითხმა გააღვიძა მათი სულიერი ძალები. საოცარი სისწრაფით მოიკრიბეს გონება, აკანკალებული ხელები წინანდებურად გაუმამაცდენ... მთელი ორგანიზმი ემზადებოდა თავზარ დამცემ მტერთან საომრად...

იმართოდა ომი სასიცოცხლოდ კი არა, სასიკვდინედ. ადამიანი მდინარეს იწვევდა სასიკვდინე ომში და გადასწყვიტა კიდევაც ძვირად დაუჯინოს თვისი სიცოცხლე...

ყველანი ელეკტრონული ძალით აღიჭურნენ.

—გავსწიოთ! წარმოსთქვა უწინარეს ყოვლისა სვიმონმა.—იქნება სადღაც გაგვრიყოს, თან ამ ხმაში გამაცხნევებელი გამბედაობა იხატებოდა...

დუმილით მიჰყვენ სხვებიც და გაორკეცებული სიძლიერით მოუსვეს ნიჩფებს.

სვიმონმა ჩამოხსნა უკანასკნელი შემონახული ნიჩაფი და საჭის მაგივრად ხმარება სცადა, როგორც იყო ვაი ვაგლახით წასწია ნავი ნაპირისაკენ.

მ. ანდრია ხმა მაღლა ლოცულობდა სულთა ბრძოლის კანონსა, რომელიც ძლიერ უყვარდა და ზეპირადაც იცოდა. მისი ხმა ძლივს ისმოდა ზვირთების საშინელ შუილში და ქარში.

ლოცულობდენ სხვებიც. ყველანი ინანდენ თავიანთ ნებსითნი თუ უნებლიეთ ცოდვათა. ბრძოლამაც მიაღწია აღსასრულს. ერთხელ აფეთქებული თავგამოდება ნელ-ნელა მისუსტდა. ნავს წინანდებურად აქანებდა ზვირთები აქეთ და იქით, მხოლოდ ჯერ კიდევ

მენავეების თავ განწირული ბრძოლა ამაგრებდა მას წყალზე.

მეტათ შერჩენილმა ნიჩაფმაც ველარ გაუწია საქეს მაგივრობა რიგიანად. ამასთან მენავეებს წინანდელმა გამოვლილმა ბრძოლამ მთლად გამოულია ძალ-ღონე. ყველანი ხედვიდენ აღსასრულის სიახლოვეს.

ლოცვით გამხნევებულმა მ. ანდრიამ ხმამაღლად დაასრულა კანონი. მენავეებიც ლოცულობდენ მხურვალედ და სიკვდილთან პირ პირ შეხვედრას ემზადებოდენ. ყველანი გამოხურვებულნი იყვენ ცხოვრებაში ბრძოლითა... არა ერთხელ და ორხელ წამოუქროლავს მათზე სიკვდილს... ამ ჯურის ხალხთა სიკვდილი ისე ძრიელ ველარ აშინებს...

მ. ანდრია დაეთხოვა ლოცვას. მხოლოდ ახლა დაინახა მან, თუ როგორ მოახლოვებოდათ სიკვდილი. გამოემშვიდობა გონებაში სახლობას. არც ერთი ცვარი ცრემლი არ გადმოვარდნია მშრალსა და ანთებულს თვალთაგან.

—ხედავთ, ძმებო, სიკვდილი მოგვადგა! წარმოსთქვა ხმა მაღლა, რომ ეძლია გარემომცველ გრიალისათვის. შეინანეთ, სანამ დრო გაქვთ... და მეც, როგორც უღირსი მოძღვარი, შეგინდობთ თქვენს ყველა ცოდვათა. მ. ანდრიამ ფართედ გადასწერა მენავეებს ჯვარი.

—მშვიდობით! წამოიძახა მან, მაგრამ ველარ მოასწრო დასრულება, ზვირთებმა, რომლებიც იქამომდე აბურთავებდენ ნავსა, ახლა გადააბრუნეს კიდევაც... ყველანი წყალში ჩაცვივდენ.

მხოლოდ ქარიღა ზუოდა წინანდებურად მდინარეზე და ზვირთები მიჰგორავდენ წყობისად.

V.

ამათი დაღუპვა მეორე დღეს გაიგეს.

„მათვეევნა“, წავიდა თუ არა შვილები, მაშინვე გარდიცვალა. მისმა შინაურებმა ერთხანს უცადეს მ. ანდრიას, მაგრამ რომ აღარ მოვიდა, გარდასწყვიტეს ავდრის გამო უთუოდ დილამდის აღარ მოდისო.

დილით, რა წამს ირაჟრაჟა, სოფელში აფრინეს შიკრიკი, რომ შეეტყობინებინათ „მათვეევნას“ სიკვდილი და მ. ანდრია უბრალოდ არ გარჯილიყო.

დარი შეიცვალა. თითქოს მსხვერპლი სწყუროდა ბუნებასო და რა კი შეიწირა, დაწყნარდა კიდევაც. ქარი ჩადგა, მღვრიე მდინარეც ჩვეულებრივად მიიზლაზნებოდა როგორც ჩვეულებრივს წყალდიდობის დროს.

შიკრიკი შევიდა სოფელში. სთქვა თუ არა, რომ მ. ანდრია ჯერ კიდევ არ ყოფილა ჩვენს სოფელშიო, მღვდლის მეუღლე გოდებით დაეცა იატაკზე.

ეს სამწუხარო ამბავი საყვარელი მღვდლის დაღუპვისა ელვასავით მოედვა სოფელს. მრავალი ხალხი დაიძრა მ. ანდრიას სახლისაკენ.

იქ იყო უნუგეშო გოდება. ცოლს ხშირად გული უწუხდა და ბრუ ესხმოდა, მოვიდოდა გონს, მაგრამ მალე ისევ უგრძნობად იქცეოდა. ტიროდენ ბავშვებიც და გულ გახეთქილი შეჰყურებდენ გარეშემორტყმულთ. მზარეული ქალიც ქვითინებდა და ოჯახის დაღუპვას სჩიოდა.

გლეხები ცდილობდნენ ენუგეშებინათ ქალი, მაგრამ მშრალი ნუგეში მხოლოდ ამწვავებდა უფრო მწუხარებას.

ამასობაში მდინარესაც მიეფინენ ნავები. დაუწყეს ძებნა დამხრჩვალთ. ვის ბადე მოჰქონდა, ვის ჭვილთი, ვის ორკაპი. გამოიძებნენ ისეთი გამბედავებიც, რომლებიც, მიუხედავად გაზაფხულის სუსხისა, ალაგ-ალაგ წყალშიც ყვინთაობდენ...

მხოლოდ საღამოზედ მოძებნეს ყველა გვამები. სამს მანძილზედ გადაეტანა მდინარესა და იქ ნაპირებზედ აზრდილსა და წყალში დამალულ ჩირგვებზე მიერიყა. ნავები კი ველარ იპოვნეს.

როდესაც ცოლს შეატყობინეს მ. ანდრიას გვამის პოვნა, მაშინვე წამოვარდა ლოგინიდგან, რომელშიაც იწვა და წივილით გამოვარდა გარეთ.

თავ მოხდილი და ტანთ ჩაუცმელი გარბოდა მდინარისაკენ, საიდამაც უკვე დაძრულიყო მისკენ ლიტანია.

ქალი სულის მომწყვლელი და გულის გამგმირავი გოდებით დაეცა ქმრის გვამსა და განუსაზღვრელი მწუხარებისაგან გული წაუიდა.

ხალხი შეჩერდა. ამ საზარელი მწუხარების მხილველ დედაკაცებმაც ველარ მოითმინეს და ქვითინებდენ. გლეხებმა თავი ჩაჰკიდეს. მათ მოქუშულს, ცხოვრების სიმძაფრისაგან დაღვრემილს პირის სახეს მედიდური სიმკაცრე ეტყობოდა. გაჭაღარებულ წვერ-ულაშებზე წამ და უწუმ სცვიოდათ უნებური ცრემლები.

მკაცრმა, ცხოვრებაში გამოწვრთნილმა გლეხის

გულმაც კი ველარ აიტანა მწუხარებისაგან გრძნობა შეშლილ ქალის გამომეტყველება.

გრძნობა მილეული ქალი ძლივს ძლიობით ააგლიჯეს გვამსა და ხელით წამოიყვანეს შინ.

მგლოვიარე ლიტანია დაიძრა ისევ სახლისაკენ. მართლა რაღაც განსაკუთრებული, დიდებული სამგლოვიარო იხედებოდა ამ ხალხთა კრებაში, რომელიც დადუმებული ტ ქუდმოხდილი მიჰყვებოდა ექვს გვამსა,—ამ ადამიანის უბედურების საზარელ სურათში.

ბ ზ ო ბ ა.

დღეს შევალს იერუსალიმს
კაცთა მშვიდობის მოძღვარი,
სურს აღადგინოს მკვდრეთითა
ადამის ცოდვით მომწყდარი.
კარაულისა ნაშობსა
კიცვსა სიმდაბლით თუმცა ზის,
ყველა სცნობს ზეცის მეუფედ,
სცნობენ მადლ-მომფენს მისსა სხივს,
მიმდგარან ებრაელთ ყრმანი
რტოებსა კაფვენ ბზაზედა,
ხალხიც ბაიის ყვავილსა
კრეფს, და უფენენ გზაზედა.
ტაძრის ეზოში იხილა
ვაჭართა გროვა მჯდომარე,
განრისხდა, შოლტითა ცემა,
ყველა განასხნა თვით გარე.
„სახლსალოცველი“, სიწმიდე
რად შეიმწიკვლა თქვენითო?
„სახლი მამისა ჩემისა
ქვაბ ავაზაკთა“ ქმენითო?
კვალად იხილა მთხოველად:
კოჭლნი, ყრუნი და ბრმანია,
ყველა განკურნა იესომ,
უყო მათ წყალობანია.
განრისხდენ ცრუ მოძღვარნიცა,
ეს ვიღაც წარმათიაო!!
ვინ გვირღვევს მოსეს მცნებასა,
დღეს უქმი, შაბათიაო!!!

რ. საჯაოხელი.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე

ბზობის კვირა.

და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და სტიროდა მასზედა. (ლუკ. 19—41).

ეს მოთხრობა მახარებელისა იხსენიებს იმ დროს, როცა იესო ქრისტე ზეთის ხილის მთიდან ჩამომავალი ხედავდა მთელ იერუსალიმს და მიემგზავრებოდა ამ ქალაქისაკენ ბაიას რტოებით და სამოსლებით მოფენილ გზაზე, ხალხი აღტაცებით ღაღადებდა: «ოსანა მესა დავითისასა!» თუმცა ხალხი ასე აღტაცებით ეგებებოდა იესო ქრისტეს, მაგრამ იგი რცემლებსა ღვრიდა ქალაქ იერუსალიმისა გამო, რომელსაც დიდი უბედურება მოელოდა. მაცხოვარი თავის ნებით მიდიოდა სასიკვდილოდ, მაგრამ მის ღვთაებრივ და კაცობრივ სახიერებას ებრალებოდა იერუსალიმელნი. უფალს თავის თავზე არ უთქვამს, როცა იტეოდა: «ვითარმედ უკეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშვიდობად შენდა, ხოლო აწ დაეფარა თვალთაგან შენთა».

მრავალი შემთხვევა იყო, როცა იესო ქრისტეს გამოცდიდენ, შეურაცხყოფდენ და ხანდისხან მოსაკლაავადაც უნდოდათ, მაგრამ მაშინ ყოველივე ამას ითმენდა მაცხოვარი და

არც ტიროდა, მაგრამ ესლა, როცა ხალხი ასე აღტაცებით ეგებება და აქებს მას, იესო ტირის. უფალი იესო ქრისტე ცსადათ ხედავდა, თუ რას ფიქრობდენ ებრაელების მწიგნობრები და ფარისევლნი მასზე, იცოდა მან, რომ მათ უკვე მოფიქრებული და გარდაწყვეტილი ქონდათ მოკვლა იესისი, იცოდა მან, რომ ამ მწიგნობრების და ფარისევლების რჩევით და გავლენით ის ხალხის ბრბო, რომელიც დღეს ასე სიხარულით ეგებება მას და უღაღადებს, დაუტოვებს და დაივიწყებს თავის ღაღადებას და „ოსანას“ ნაცვლად იწყებს გაბრაზებულ ყვირილს: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ მეე!“ დიად, ამ ხალხმა, რომელიც ასე სიხარულით მიეკება ქრისტეს, თავის ტანისამოს უფენდა და ბაიას რტოებით ხელში უგალობდა: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა“, მესუოე დღეზე, როცა პილატემ კითხა ებრაელების მწიგნობრებს და მღვდელ-მთავრებს: და რა უყოთ იესოს? ერთ ხმად შესძახა მწიგნობრების და ფარისევლების შთაგონებით: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ მეე“. პილატეს ებრაელების კანონებისა და ჩვეულებისამებრ უნ-

დიდებით შესვლა უფლისა იერუსალიმში

დოდა განეთავისუფლებია ორ დამნაშავეთაგან ერთ-ერთი და ამიტომ ეკითხება ხალხს: თქვენი რჯულისამებრ ორ დასასჯელთაგან ერთის განათვისუფლება შეიძლება, არა ვნებავსთ, რომ იესო გაუშვა და ბარაბა დავსაჯო (ბარაბა იუო ავაზაკი და უნდა სიკვდილით დასჯილიუო) ხალხმა ერთხმად შესძახა: არა, ბარაბა გაანთავისუფლე და იესო დასაჯე, ჯვარს აცვი.

აი სადამდის მივა ხალხის სიბრმავე! ვინ არ აღელვდება და ვისი გული არ შესწუხდება, როდესაც გულდასმით წაიკითხავს სახარებას. და რას არ ვამბობთ ჩვენ ამ დაბრმავებულ ებრაელებზე!.. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით ჩვენ ცხოვრებას და ჩვენს საქციელს, დიდ გასაკვირველ და გასაოცებელ მოქმედებად აღარ ჩავთვლით იმ დროის ებრაელების საქციელს და მათგან წარმოთქმულ სიტყვებს. განა ჩვენ, ეხლანდელი დროის ქრისტიანები კი არა ვუოფთ უარს იესო ქრისტეს და მის მცნებას? დღეს აღვიარებთ ქრისტეს მცნებას და მისი სარების სწავლა-მოძღვრებას, ზეგ კი გასაოცარ გულ-გრილობას ვაცხადებთ მის სარწმუნოებაზე, დღეს რომ ჰირობას ვსდებთ მაცხოვრის მცნების აღსრულებაზე, შემდეგ კი უარ ვუოფთ, ადვილიც რომ იუოს ამ მცნების აღსრულება.

უფალო, შეეწიე ჩვენს ურწმუნოებას და მოგვიტევე ჩვენი შეცოდებანი.

უკეთუ მე დაგბანენ ფერხნი, უფალმან ჲ მოძღვარმან, ჲ თქვენცა თანა-გაძს ურთიერთარს დაბანად ფერხთა. რამეთუ სახე მიგეც თქვენ, რათა, ვითარცა ესე მე გიყავ თქვენ, ეგრეთვე თქვენცა ჰყოფდეთ.

ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი*.

საუბარი მეხუთე

შვილების მოვალეობა მშობელთადმი.

იესო ემორჩილებოდა მათ (ლუკ. 2, 51).

წინა საუბარში მე ავღნიშნე მშობლების მოვალეობანი მათი შვილების აღზრდა-მოვლის საქმეში. ხოლო დღეს მე მსურს ვესაუბრო ბავშვებს. ამისათვის მე მოხერხებულ შემთხვევას მაძლევს მაგალითი იესო ქრისტესი, რომელიც ემორჩილებოდა და გამგონე იყო იოსების და ყოვლად კურთხეულ ღვთის მშობლისა. ვისარგებლებ ამ შემთხვევით — ცოტათი მაინც მოვრეცხ ნაღველს ჩემს გულს და თავისუფლად გამოვთქვამ ჩემი გულის ნადებს, რომელსაც აღძვრენ ჩემში მრავალი ყმაწვილების ცუდი საქციელი მათ მშობელთადმი.

ათ მცნებაში, რომელიც ღმერთმა მისცა ებრაელებს სინას მთაზე, ნათქვამია: „პატივი ეცი მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“. აი რას ავალებს შვილებს თვით ღმერთი. ამიტომ მე საჭიროდ არა ვთვლი განგიმარტოთ თქვენ, ყმაწვილებო, თქვენი მოვალეობანი მათ შესახებ, რომელთაც გშობეს თქვენ; მხოლოდ გეტყვით, თუ რისი ღირსი არიან შვილები, რომელნიც სინამდვილით არ ასრულებენ ღვთის ამ სიტყვებს. ეხლა გამოვიკვლიოთ, არიან თუ არა ისეთი შვილები, რომელნიც პატივს არ ცემენ მშობელთა თვისთა და რა სასჯელის ღირსნი არიან შვილნი ურჩნი, ამაყნი და დედ-მამის შემაწუხებელნი.

I.

ეს სამწუხარო მოვლენა ძლიერ საზოგადოდ და თვალ საჩინოდ არის გავრცელებული ამ ჩვენს დროში. ძვირად ნავხავთ ისეთ მშობელს, რომელიც თავის შვილებს არ უჩიოდეს. მრავალი მშობლებისაგან გამიგონია და ყოველ წამს მესმის, რომ ეხლანდელს დროში ჩვენი შვილები, მოიზრდებიან იგინი თუ არა, აღარაფერს გვიგონებენ და დამოუკიდებლად უნდათ იცხოვრონო. მე აქ სახეში არა მყავს ის ყმაწვილები, რომლებიც ჯერ კიდევ ბავშობის წლოვანებას არ გაცილებიან, არამედ მე ვამბობ ისეთებზე, რომელთაც შეგნებული აქვსთ თავიანთი მოვალეობანი, იციან, რა არის კარგი და ცუდი, შეუძლიათ იხელმძღვანელონ გონებით, რომელიც მათ მინიჭებული აქვსთ ღვთისაგან.

აბა ერთი მამამ შენიშვნა გაუბედოს შვილს, რომელსაც ცუდ ყოფაქცევას ამჩნევს; აბა ერთი მოიწადინოს მისი დასჯა მისი ქარაფშუტობისა და ცუდი ყოფაქცევისათვის; აბა ერთი ურჩიოს ისეთი საქმის გაკეთება, რომელიც შვილს არ ესიამოვნება და რომელიც ხელს შეუშლის მის დროების ტარებას. აბა ერთი დედამ უთხრას თავის ქალს, რომ ის მარტო მორთულობაზე ფიქრობს, ძლიერ მოუფიქრებლად იქცევა, სიტყვა-პასუხს არ უკვირდება, ძლიერ გაბედულად იქცევა კაცების საზოგადოებაში; აბა ერთი შენიშვნა მისცეს მას, რომ ის რაღაცა საეჭვო საზოგადოებაში იღებს მონაწილეობას, დიდ დროს ახმარს თამაშობას და სხვა უბრალო დროების ტარებას. მაშინ თქვენ დაინახავთ, თუ შვილები როგორ გაბრაზდებიან და ნაცვლად მისა, რომ ეს სასარგებლო და ბრძნული რჩევა-დარიგებანი მიიღონ, მომეტებულად ავდებიან. მთელი კვირაობით ხმას აღარ ცემენ მშობლებს და იბუტებიან. აი აქედან თვალ საჩინოდ იხედება, თუ შვილები რამდენად გამგონენი, პატივისმცემელნი და მორჩილნი არიან მშობლებისა.

უფრო მომეტებულად ფუჭდებიან შვილები. როცა მშობლები აბინავებენ მათ და როცა ისინი თავისუფალ ცხოვრებას იწყებენ. მერე ხომ ველარას გაუბედავ მათ. რომ ვინიცობაა რამე გაუბედოთ, მრისხანეთ მოგიგებენ; „თუ ღმერთი გწამთ, თავი დაგვანებეთ, დიდი ხანია თქვენი ბრძანებლობისაგან თავისუფალნი ვართ. თქვენ თქვენს საქმეს მოჰკიდეთ ხელი და ხელს ნუ გვილშლით, ისეთ წლოვანებასა და მდგომარეობაში ვართ, რომ ჩვენ თვითონ კარგად მოუკლით ჩვენს თავს; ნუ თუ კიდევ ბავშვები გგონივართ?»-მართალია, შვილო, ბავშვი კი აღარა ხარ, მაგრამ მე მაინც შენი მამა ვარ და კიდეც რომ თმა გაგითეთრდეს, შენ მაინც ჩემი შვილი იქნები და მე ყოველთვის უფლება მაქვს შენიშვნა მოგცე“ — მე არ ვსაჭიროებ შენს შენიშვნას, შენთვის შეინახე შენი დარიგება. მე იმდენი ვიცი, რამდენიც შენ, მე ჩემი ჭკუით მინდა ვიცხოვრო, თავი დამანებე, შენ ჩემი არაფერი არ მოგწონს“. ოხ, ღმერთო ჩემო, რა გულ გამხეთქი სიტყვებია! განა შეიძლება, რომ შვილმა ასეთი სიტყვები უთხრას მშობლებს?

* იხილე „მწყემსი“ № 6, 1897 წ.

ასეთი სიტყვებით შეიძლება მხოლოდ ბატონმა მიმართოს თავის მოსამსახურეს და არა შვილმა მამას.

ეხლა ვიკითხოთ: ასე უდიერად მარტო გაუნათლებელი შვილები ექცევიან მშობლებს? საფიქრებელი იყო, რომ მარტო ასეთ შვილებისაგან შეურაცხყოფილი უნდა ყოფილიყვნენ მშობლები. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, არც ის შვილები ექცევიან მშობლებს რიგიანად, რომელთაც თავი მოაქვსთ თავიანთი განათლებით. მართალია, ასე ბრიყულად არ ელაპარაკებიან თავიანთ მშობელთ, მაგრამ არც იმდენათ პატივისმცემელნი და გამგონენი არიან. ამას მოწმობენ თვით მშობელნი.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამ საგნის შესახებ ყოველიფერი ითქვა. სრულებითაც არა. აი ეხლა მეორე სანახაობა. ერთხელ, სამრევლოში სიარულის დროს, ერთ სახლში შავედი. უნებლიეთ ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა მოხუცმა, რომელიც კუთხეში იჯდა განმარტოებული. მისმა ჭაღარამ, შრომისაგან დაქანცულმა და მოხრილმა სხეულმა ჩემში აღძრა პატივისცემა ამ მოხუცისადმი. მე მიუახლოვდი მას, რომ გამოვლაპარაკებოდი; მის პირის სახეზე ცხადათ მოსჩანდა მწუხარება. «რა დაგემართა, ჩემო მეგობარო? შენ, როგორც ვხედავ, ძლიერ მოწყენილი ხარ. კაცო! კიდეც სტირი? ვინ გაწყენია? ხომ რაიმე უბედურება არ შეგემთხვა ოჯახობაში?»

— ოხ, ჩემო ხელმწიფევ! მე მსურს სიკვდილი და ყოველ დღე ამას ვევედრები უფალს, რომ მან მალე მიიღოს ჩემი სული, რადგან მე არაფრისათვის გამოსადეგი არა ვარ, ყოველ დღე მესმის საყვედური იმ პურისათვის, რომელსაც მე მაძლევენ და რომელსაც რწყავს ჩემი რცემლი; მე ხუთი ვაჟი მყავს; ეს ჩემი უბედური ხელები მარტო მათ სარჩენად მუშაობდა; დიდი შრომით გავზარდე ისინი და დავაბინავე და რაც კი რამ გამაჩნდა შავი დღისათვის, მათზე დავხარჯე. ეხლა, როცა მე თვითონ აღარაფერი არ გამაჩნია და არც შემიძლია, ჩემი საკუთარი შრომით ვირჩინო თავი, ჩემს შვილებს თვალის დასანახავად ვეზარები. არც ერთ მათგანს არა სურს, რომ სახლში დამაყენოს და მარჩინოს სიკვდილის დღემდე. აგერ ვარ სამოწყალოდ. სიტყვას არ ამომაღებინებენ; თუ რამე შენიშვნა მივეცი და თქვენ ხომ იცით, რომ მოხუცებულნი უფრო გამოცდილნი არიან ახალგაზდებზე,—მეუბნებიან, რომ მე გამოჩურჩუტებული ვარ: თუ რამე ვსთქვი ჩემს უბედურებაზე, ჩემთვის სიკვდილს სურვობენ: ჩემი პატარა შვილი-შვილებიც კი დამცინიან და მაწყენინებენ ხოლმე. აი როგორია ჩემი მდგომარეობა! მაგრამ მე თქვენა გთხოვთ, რომ არაფერი არ უთხრათ ამაზე ჩემს შვილებს; კიდევ უარეს დღეს დამაყენებენ, თუ გაიგეს, რომ მე თქვენ რამე გითხარით".

თქვენ, ძმანო ჩემნო, დიდის ყურადღებით მიგდებთ ყურს. თქვენს პირის სახეზე თანხმობის ნიშანს ვხედავ, თითქო თქვენ მეუბნებით პასუხათ: ნამდვილი სიმართლეა. ეს ჩვენ თვითონ გვინახავს, გაგვიგონია, ყოველ დღე ვხედავთ. ისწავლიან თუ არა ჩვენი ბავშვები ლაპარაკს, მაშინვე გაუგონარნი შეიქნებიან. და როცა ცოტა მოიზრდებიან, მაშინ ხომ უფრო ცუდად იქცევიან. თუ ერთხელ განთიისუფლდენ ჩვენის ხელიდან მერე ველარას უბედავთ. როცა მოვხუცდებით და საქმის გაკეთებას ველარ შევიძლებთ, მაშინ ხომ თვალის დასანახად ვეზარებით. ჩვენი მოხუცებულება ეზარებათ. სურთ, რომ მალე მოვკვდეთ და ჩვენც ძალას გვაყენებენ, რომ ღმერთს ვსთხოვოთ სიკვდილი. ძნელი გამოსაცნობია: ვისთვის უფრო სამძიმოა ჩვენი მოხუცებულობა, ჩვენთვის, თუ ჩვენი შვილებისათვის?

ასრე, ძმანო ჩემნო, ჩემგან ნათქვამი გამოგონებული არ არის; მე ის გითხარით, რაც ყოველდღე ხდება თქვენს თვალ წინ. მაგრამ როცა ერთსა და იმავეს ხშირიდ ვხედავთ, ყურს აღარ ვათხოებთ, თითქო აღარც კი გვეჩოთირება; ისე უცქერით, როგორც ჩვეულებრივს რამეს.

II.

შენი მშობლები, ჩემო შვილო საყვარელო, შენთვის რამდენიმედ ღვთის სახე არიან. როგორც ღმერთი არის მამა, მფარველი, მაცხოვარი შენი სულისა, ისე მშობლები არიან შენი შემქნელნი, მფარველნი, და მაცხოვარი შენი სხეულისა, ეგ შენი სხეული წარმოდგა მათი არსებისაგან, და შენ ერთის ხრით ხარ ხორცი ხორცთაგან და ძვალი ძვალთაგან შენი მშობლებისა, ნაწილი მათი. რა შრომა, ზრუნვა და უსიამოვნება არ გამოცადეს მათ შენ გაზრდაზე? ნუ თუ არ ხედავდი, როგორ უყვარდი შენ შენს მშობლებს და როგორ გასათუთებდენ, როცა ხელით გატარებდენ და მუხლზე გისვამდენ? თავისთვის ძილს იფთხობდენ, ოღონდ შენ გძინებოდა მოსვენებით; თვითონ იკლებდენ ტანთ-საცმელს, ოღონდ შენ კი შეემოსეთ; თვითონ უსაჭიროეს რამეს იკლებდენ, რომ შენთვის ესიამოვნებიათ.

ღვთის სიყვარული კაცთადმი უსაზღვროა: ამ სიყვარულს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უსაზღვროა, თვით ღმერთი ადარებს მშობლების სიყვარულს შვილთადმი- ამიტომ იმ შვილზე, რომელსაც არ უყვარს თავისი მშობლები, საკმაო არ არის ვთქვათ, რომ იგი უმადურია, ამას უნდა დაუმატოთ, რომ ისინი ამოსაგდები ბ ამოსაწყვეტი არიან; როცა შვილი პატივს არა ცემს მშობლებს, იგი იქცევა ისე, როგორც უსჯულო; მისი წინაღმდეგი სიტყვები მშობელთადმი ღვთის გმობაა; ასეთი შვილი ფეხქვეშ თელავს სარწმუნოების წმიდა კანონებს, ეწინააღმდეგება გონებას და ემზგავ-

სება უენო ცხოველებს, რომელნიც რამდენიმე ხნის შემდეგ, ველარ ცნობენ ველარც მამას და ველარც დედას. ბავშვები, რომელთაც ჩემი სიტყვები ესმისთ დღეს, სასირცხოთ მიაჩნიათ ასეთი საქციელი, მაგრამ აი რისი უფრო უნდა ეშინოდესთ მათ:

წმიდა მამათ-მთავარმა ჩვენმა ნოემ გააშენა ვენახი, მან არ იცოდა ძალა ღვინის წყენისა, ცოტა მომეტებული დალია იგი, ღვინო მოეკიდა, მან დაიძინა და ძილის დროს ტანთსაცმელი გაეხადა. ერთმა მისმა შვილმა დაინახა მამა ასეთ მდგომარეობაში, იგი გაიქცა თავის ძმებთან და სიცილით უამბო მათ მამის ამბავი. ძმები მაშინვე გაიქცნენ, თან წაიღეს სამოსელი, მივიდნენ მამასთან და დააფარეს მას სამოსელი. ნოემ, გამოღვიძების შემდეგ, გაიგო თავისი შვილების საქციელი; აკურთხა ორი უკანასკნელი, ხოლო პირველი დაწყევლა და მასთან ერთად დაწყევლა მისი შთამომავლობა და უწინასწარმეტყველა, რომ იგი და მისი შთამომავლობა მოსამსახურენი იქნებიან მისი ძმებისა. რა დამნაშაობა ჩაიდინა ქამმა, რომ ასეთი წყევა მიიღო მამისაგან? იმას წინააღმდეგობა არ გაუწევია მამისათვის, პირში არ დაუცინია მისთვის, მხოლოდ მან შეხედა მამას, როცა ის ტიტველი იწვა და ეძინა; იმან ის უთხრა ძმებს, რაც არც მას უნდა დაენახა და ამ ნაკლულევანებამ მიაყენა მას მამის წყევა. ეს გაკვირვებს თქვენ, მაგრამ აი კიდევ რა გითხრათ: თვითონ ღმერთი ეუბნება მოსეს: „იყოს თუ ვისიმე შვილი ურჩ და სუსტ, და არა ერჩდეს სწავლასა მამა დედათასა, და განსწავლის იგი და არა ისმინოს. და აღიღოს იგი მამამან და დედამან მისმან, მოიყვანონ წინაშე კრებულისა მის მოხუცებულთა ერისა ქალაქისათა, კარსა მას სადაც დასასხდომელი იყოს კაცთა, და თქვან მათ წინაშე: შვილი ესე ჩემი ურჩ არს, და სუსტ, და უზავ და არა მორჩილ ჩვენდა და არცა ისმინის ხმა სწავლისა ჩვენისა; შჯამს და სვამს და განსცხრების მომთვრალეთათანა. მოიყვანონ იგი კაცთა მათ მის ქალაქისათა და ქვა დაჰკრიბონ მას და მოკვდეს, რათა მოისპოს უკეთური იგი თქვენ შორის, და ყოველსა ისრაელსა, რომელსა ესმეს შეეშინის“. [მეორე სჯულ. 21, 18—21].

ამ სახით უბედური ხარ შენ, შვილო, რომელიც ნაცვლად მისსა, რომ ახარებდე შენს მშობლებს, ატკბობდე მათ სიცოცხლეს და ანუგეშებდე მათ მოხუცებულობის დროს, პირიქით სიცოცხლეს უმწარებ და უმოკლებ მათ შენი ცუდი საქციელით და ამიტომ შენ ხარ ძე წყევისა. შენ დაისჯებოდი სიკვდილით მოსეს კანონით, და ხალხი, ღვთის ბრძანებით, დაგქოლავდა შენ ქვებით. ღმერთმა ინებოს, რომ ყოველივე ამან აგიხილოს თქვენ თვალები. თქვენ ხედავთ, რომ ეს სიტყვები მე თვითონ არ შემითხზავს, არამედ ეს სიტყვები ეკუთვნის თვით ღმერთს.

კიდევ გამიგონეთ, და მალე გავათავებ: მოისმინეთ სიტყვები, რომელნიც ამოღებულნი არიან «სიბრძნეთაგან». რა მშვენიერნი არიან იგინი! ღმერთო, ეს სიტყვები აღბეჭდე ყველას გულში შენი მადლით. „რომელი პატივს ცემს მამასა, განწმენდს ცოდვასა. და ვითარცა რომელი დაიუნჯებდეს მადიდებელი დედისა თვისისა. პატივის მცემელი მამისა იხარებდეს ძეთა მიერ, და დღესა შინა ვედრებისა მისისასა სასმენელ იქმნების. რომელი ადიდებს მამასა, დღეგრძელ იქმნების, და მორჩილი უფლისა განუსვენებს დედასა თვისსა. მოშიში უფლისა პატივს ცემს მასა, და ვითარცა დედოფალსა მსახუროს მშობელსა მისსა. საქმით და სიტყვით პატივეც მამასა შენსა და დედასა, რათა გარდამოვიდეს შენ ზედა კურთხევა მათგან. (ისო ზირაქისა 3, 3—8). აი, ჩემო შვილნო საყვარელნო, რა გითხარით თქვენ დასარიგებლად. ისარგებლეთ ამაებით, და ღმერთი გაკურთხებსთ თქვენ.

შინაარსი:

ოფიციალური განყოფილება: ანგარიში იმერეთის ეპარქიის სანთლის ქარხნის შესავალ-გასავლისა 1896 წლ.—უმაღლესი ჯილდოები.—ქართლ-კახეთის საეპარქიო სამასწავლებლო საბჭოის მიერ.

სალიტერატურო განყოფილება: ქრისტე აღდგა!—ღია წერილი კიევიდან.—ღია წერილი ქიზიყ. მღვდლისა.—მოვალეობა თუ სიყვარული?—ბზობა (ლექსი).

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საღვთისმეტყველებასა და **კეთილ-ზნეობაზე**: ბზობის კვირა.—ხმა მოძღვრისა საჰწყსოთადმი. საუბარი მეხუთე.

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 апрѣля 1897 г. ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ.*

Типог. редакціи журн. **„Пастырь“** (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананових, на Нѣмецкой ул.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.**